ინტერპრესნიუსი

10.08.2020

ბაკურიანის უწყვეტი წყალმომარაგებისთვის დამატებითი სამუშაოები მიმდინარეობს

ბაკურიანში ზამთრის სეზონზე სტაბილური წყალმომარაგებით უზრუნველყოფისა და წყლის დებიტის გაზრდის მიზნით, ორი პროექტით გათვალისწინებული დამატებითი სამუშაოები მიმდინარეობს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ინფრასტრუქტურის სამინისტროდან აცნობეს. მათი ინფორმაციით, უკვე შესრულებულ სამუშაოებს და კურორტზე არსებულ ვითარებას ადგილზე გაეცნენ ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, ილია ბეგიაშვილი და წყალმომარაგების კომპანიის დირექტორი, გიგა მანდარია. ,,ბაკურიანში ჩვენ გვყავს ორი კონტრაქტორი, რომლებსაც სხვადასხვა ფუნქციური დავალება აქვს. ეს არის ჭაბურღილების დამატება- დაახლოებით 5 ჭაბურღილს ვამატებთ, ხოლო მეორე კონტრაქტორი ძველი სათავე ნაგებობების რეაბილიტაციასა და ახლის მშენებლობას ახორციელებს. ასევე, ზემოთ მდებარე ხევებიდან ამ სათავე ნაგებობაში იკრიბება წყალი, რომელიც აქამდე იკარგებოდა. სამუშაოებს დაახლოებით ოქტომბერში დავასრულებთ, რაც მოგვცემს იმის საშუალებას, რომ დღეს არსებული დებიტი, რაც გვაქვს ბაკურიანში, იმის გათვალისწინებით, რომ აქ მიმდინარეობს აქტიური განაშენიანება და გათოვლიანების დამატებითი სისტემები მონტაჟდება, ეს პროექტები მოგვცემს იმის საშუალებას, რომ სრულად უზრუნველვყოთ კურორტის მოთხოვნები,” - განაცხადა ილია ბეგიაშვილმა ბაკურიანში მიმდინარე სამუშაეობის დათვალიერების შემდეგ. ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, ამ დროისთვის, ბაკურიანს წყალი უწყვეტად მიეწოდება. თუმცა, მშრალმა კლიმატმა, ინფრასტრუქტურული ობიექტების, დამსვენებლებისა და ტურისტების მკვეთრმა ზრდამ გასული ზამთრის სეზონზე წყლის დებიტის სიმცირე გამოიწვია და კურორტს წყალმომარაგების მიწოდება შეუზღუდა. პროექტების ჯამური ღირებულება – 23,018,818 ლარია.

სოციალური 10.08.2020 / 13:21

ბაკურიანის უწყვეტი წყალმომარაგებისთვის დამატებითი სამუშაოები მიმდინარეობს

ბაკურიანში ზამთრის სეზონზე სტაბილური წყალმომარაგებით უზრუნველყოფისა და წყლის დებიტის გაზრდის მიზნით, ორი პროექტით გათვალისწინებული დამატებითი სამუშაოები მიმდინარეობს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ინფრასტრუქტურის სამინისტროდან აცნობეს.

მათი ინფორმაციით, უკვე შესრულებულ სამუშაოებს და კურორტზე არსებულ ვითარებას ადგილზე გაეცნენ ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, ილია ბეგიაშვილი და წყალმომარაგების კომპანიის დირექტორი, გიგა მანდარია.

,,ბაკურიანში ჩვენ გვყავს ორი კონტრაქტორი, რომლებსაც სხვადასხვა ფუნქციური დავალება აქვს. ეს არის ჭაბურღილების დამატება- დაახლოებით 5 ჭაბურღილს ვამატებთ, ხოლო მეორე კონტრაქტორი ძველი სათავე ნაგებობების რეაბილიტაციასა და ახლის მშენებლობას ახორციელებს. ასევე, ზემოთ მდებარე ხევებიდან ამ სათავე ნაგებობაში იკრიბება წყალი, რომელიც აქამდე იკარგებოდა. სამუშაოებს დაახლოებით ოქტომბერში დავასრულებთ, რაც მოგვცემს იმის საშუალებას, რომ დღეს არსებული დებიტი, რაც გვაქვს ბაკურიანში, იმის გათვალისწინებით, რომ აქ მიმდინარეობს აქტიური განაშენიანება და გათოვლიანების დამატებითი სისტემები მონტაჟდება, ეს პროექტები მოგვცემს იმის საშუალებას, რომ სრულად უზრუნველვყოთ კურორტის მოთხოვნები. ანალოგიური სამუშაოები გვაქვს გუდაურში, სადაც ორი კონტრაქტორი გვყავს და იქაც ვამატებთ ჭაბურღილებს. ასევე, ნორციელდება ძველი სათავე ნაგებობების რეაბილიტაცია, დამატებით გვაქვს ხელოვნური ტბა და ჯამში ეს ყველაფერი გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ გუდაურში სასტუმროები და ასევე, ხელოვნური გათოვლიანება სრულად იქნება უზრუნველყოფილი წყალმომარაგებით. საკურორტო ზონებში სწრაფად იზრდება

წყარო:

https://www.interpressnews.ge/ka/article/613106-bakurianis-ucqveti-cqalmomaragebistvis-damatebiti-samushaoebi-mimdinareobs

რადიო თავისუფლება

10.08.2020

“სასმელ წყალს ხავსი და წურბელები მოჰყვება” - როდის მოგვარდება პრობლემა სოფელ მატანში?

სოფელი მატანი ახმეტის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი ყველაზე ძველი და მრავალრიცხოვანი დასახლებაა. ამ სოფელში საქართველოს ეროვნული გმირი ქაქუცა ჩოლოყაშვილი დაიბადა. იქ 5 000-მდე ადამიანი ცხოვრობს. ათწლეულებია, სასმელი წყლის პრობლემა მთელ სოფელს აწუხებს. ადგილობრივები რადიო თავისუფლებას ეუბნებიან, რომ კარგ ამინდში წყალი ონკანებიდან შედარებით სუფთა მოდის, მაგრამ როგორც კი ამინდი შეიცვლება, წყალი ხდება მოყავისფრო, სუნი აქვს და დაბინძურებულიც არის. მატნის ძირითადი ნაწილი სასმელი წყლით მდინარე ალაზნიდან მარაგდება. ადგილობრივ მცხოვრებთა ვარაუდით, სასმელ წყალს სარწყავი წყალიც ერევა, რაც პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს. მატანში მცხოვრები იათამზე გარშეულიშვილი ამბობს, რომ მათი ონკანებიდან წყალს ზოგჯერ ჭიაყელებიც კი მოსდევს, ამიტომ იძულებული არიან, წყალი ან მაღაზიაში იყიდონ, ან სოფლის ცენტრში მდებარე წყაროდან მოიტანონ.„სასმელ წყალს ერთი პერიოდი წურბელები მოჰყვებოდა. როდესაც ეს ამბავი სოფლის ხელმძღვანელობას ვუთხარით, პასუხად მივიღეთ: იქნებ საიდან მოიყვანეთ წურბელაო, რით დაამტკიცებთ, რომ ასე იყოვო... ჩვენ დღემდე ამ წყალს ვსვამთ. თუ სადმე წავედით, თან მიგვაქვს წყლის ჭურჭელი, რომ იქიდან სუფთა წყალი წამოვიღოთ“.მერის წარმომადგენელს ადგილობრივთა ნაწილი სიტყვიერად დაუპირისპირდა. დავით მამუკელაშვილი ირწმუნება, რომ მატანში წყლის პრობლემის მოსაგვარებლად 7 მილიონ ლარზე მეტია გამოყოფილი, გამოცხადებულია ტენდერი და სამუშაოები მალე უნდა დაიწყოს, რომელიც ორი წელი გაგრძელდება.„ტენდერი გამოცხადებულია და დასრულდება 22 აგვისტოს. 7 მილიონ 123 ათას ლარზე მეტია გამოყოფილი. ყველაფერი უნდა გამოიცვალოს. მოწესრიგდება სათავე ნაგებობები და წყალი დაიქლორება. ეს პროექტი სექტემბერში უნდა დაიწყოს და დასრულდება ორ წელში!“

წყარო: https://bit.ly/3g21p4f

ფაინანშალი

11.08.2020

THE FINANCIAL

HOME BUSINESS WORLD TRAVEL OPINION TEC

PEOPLE VIDEOS EVENTS

READING M

aA aA

SHARE THIS

კომპანია RMG-ს დახმარებით, საქართველოს წყლებში თევზ ფარგის დაბრუნება იგეგმება

218-2020 წლების განმავლობაში კომპანია RMG, საქართველოს გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, თითქმის ყველა გარემოსდაცვითი პრობლემის მოგვარებას ცდილობს, მათ შორის, ნიადაგის, წყლისა და ჰაერის დაბინძურების შემცირების საქმეში.

კომპანიის ერთ-ერთი მიზანი რეგიონის მდინარეებში ბიომრავალფეროვნების აღდგენა და ხელშეწყობაა. ამ მცდელობის ყველაზე კარგი მაგალითია კომპანიისა და ჟურნალ Wildlife-ის ერთობლივი პროექტი, რომელიც საქართველოს ზედაპირულ წყლებში თევზ ფარგის გაშვებასა და გამრავლებას გეგმავს. კომპანიისა და ჟურნალ Wildlife-ის ერთობლივი პროექტი საქართველოს მდინარეებსა და ტბებში იქტიოფაუნის ყველაზე ცნობილი სახეობების გამრავლებას გეგმავს.
2019 წლიდა, არაერთი მეცნიერი, საერთაშორისო ორგანიზაცია და უცხოელი ექსპერტი იყო ჩართული ამ პროექტში. შედეგად შესაძლებელი გახდა თევზის იმპორტი აზერბაიჯანიდან საქართველოში.

საჭირო ნებართვებისა და ლიცენზიების მიღების შემდეგ, რაშიც კომპანიას გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო დაეხმარა, 1000-მდე მცირე კონტეინერი გადაეცა საქართველოს ველური ბუნების სააგენტო. კონტეინერში გასამრავლებელი თევზები იყვნენ. მომავალში კი ქართველი და აზერბაიჯანელი ექსპერტები სამეცნიერო ექსპერიმენტებს ჩაატარებენ თევზის მომრავლების მიმართულებით.

Since 2017, RMG has been actively working on the modernisation of the historic enterprise in terms of technological upgrades, labour safety and environmental measures.

The 2018 - 2020 environmental programme by RMG through the intervention of the Ministry of Environment and Agriculture of Georgia, has almost addressed the environmental issues related to productions within the Bolnisi district. These include large-scale water, soil and ambient air protection measures, much of which had already been carried out by the company.

RMG has set the record for several successful projects in regard to protecting the watery environment followed by steps taken towards restoring the biodiversity in regional rivers. The best example of this is the joint project of RMG and Wildlife magazine, which aims to foster the reproduction of pikeperch in Georgian waters.

Pikeperch return to Georgia

წყარო: https://finchannel.com/csr/78170-rmg-continuing-its-environmental-projects-bringing-pikeperch-back-to-georgian-waters?fbclid=IwAR0tP1strLbNGlr3jizo87DxU_g6-070UCCogAt7aBJhgV4ZnQOMLTg2F1I

ინტერპრესნიუსი

14.08.2020

ქობულეთში ძლიერმა წვიმამ პრობლემები შექმნა

ქობულეთში, ძლიერი წვიმის შედეგად, რუსთაველისა და ე.წ. ძველი საავადმყოფოს უბანში ხუთი საცხოვრებელი სახლი დაიტბორა. ასევე ნალექმა სადგურის მიმდებარედ, რამდენიმე ქუჩაზე პრობლემები შექმნა. შეფერხდა საავტომობილო მოძრაობაც.

ქობულეთის მერიის ინფორმაციით, შემთხვევის ადგილებზე შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები არიან გასული და ზარალს სწავლობენ. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, ამ დროისთვის უწყებაში 15 შეტყობინებაა შესული.

ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘ 14.08.2020 / 23:42 ᲐᲐ

ქობულეთში ძლიერმა წვიმამ პრობლემები შექმნა

ქობულეთში, ძლიერი წვიმის შედეგად, რუსთაველისა და ე.წ. ძველი საავადმყოფოს უბანში ხუთი საცხოვრებელი სახლი დაიტბორა. ასევე ნალექმა სადგურის მიმდებარედ, რამდენიმე ქუჩაზე პრობლემები შექმნა.

შეფერხდა საავტომობილო მოძრაობაც.

ქობულეთის მერიის ინფორმაციით, შემთხვევის ადგილებზე შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები არიან გასული და ზარალს სწავლობენ.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, ამ დროისთვის უწყებაში 15 შეტყობინებაა შესული.

წყარო:

https://www.interpressnews.ge/ka/article/613815-kobuletshi-zlierma-cvimam-problemebi-shekmna